ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2959822

ნომერი: AR1457669

თარიღი : 18.11.2016

გაცემის თარიღი : 12.12.2016

გაცნობის თარიღი : 12.12.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ე. ბეჟანიშვილი , N 9 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლერი ტურძილაძე პ/ნ 01006000854
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 16 ბ. 7

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 22.07.2016 წლის #2732146 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 18.11.2016

წლის #AR1457669 განცხადებით მომართა ლერი ტურძილაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 22.07.2016 წლის #2732146 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 22.07.2016 წლის #2732146 ბრძანებით, ქ. თბილისში, ე. ბეჟანიშვილი ქუჩა N 9, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი № 01.12.12.005.028), შეთანხმდა დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი, ხოლო აღნიშნული პროექტის საფუძველზე სამსახურის 14/09/2016 წლის #2832770 ბრძანებით, გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 14 სექტემბრიდან 2018 წლის 14 დეკემბრის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი უთითებს, რომ შეთანხმებულ 22.07.2016 წლის #2732146 ბრძანების ტექნიკური–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებული იქნა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, უთითებს რომ საცხოვრებელი ფართობი ნაცვლად 3553.4 კვ.მ-ისა უნდა იყოს 3621.8 კვ.მ. შესაბამისად შესაცვლელია, აგრეთვე საერთო ფათობი და ნაცვლად 5464.9 კვ.მ-ისა უნდა იყოს 5533.3 კვ/მ.. სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შესწორებული მაჩვენებლები შესაბამისობაშია სამსახურის 22.07.2016 წლის #2732146 ბრძანებასთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 22.07.2016 წლის #2732146 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართი - 3621.8 კვ.მ. საერთო ფართი - 5533.3 კვ.მ. სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 22.07.2016 წლის #2732146 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.